



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 08.10.21 წლის №055/21¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიგა კორკოტაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა დავა საჩივრის ავტორსა და მის მეუღლეს შორის, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების შეზღუდვა და ალიმენტის დაკისრება. ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქმეში მესამე პირებად ჩართო საჩივრის ავტორისა და მისი მეუღლის შვილები, არასრულწლოვნებს სავალდებულო წესით დანიშნათ ადვოკატი. საჩივრის ავტორის მეუღლის (მოპასუხე მხარე ბათუმის საქალაქო სასამართლოში) ადვოკატმა დააყენა სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატის აცილების შუამდგომლობა, არაკვალიფიციურობის გამო. მას შემდეგ, რაც სასამართლომ იმსჯელა დასახელებულ შუამდგომლობაზე და მზრუნველობის ორგანოს დაავალა შეესწავლა საკითხი სავალდებულოდ დანიშნული ადვოკატის აცილების შესახებ, ადვოკატმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი და ორდერი, სადაც ფიქსირდება, რომ ის წარმოადგენს ორი არასრულწლოვნის ადვოკატს. ადვოკატი საქმეში ჩაერთო მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობის შემდეგ, ორი არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად. სოციალურ მუშაკთან საუბრისას ორივე არასრულწლოვანი გამოთქვამდა თანხმობას, სასამართლოში მათი წარმომადგენელი ყოფილიყო ადვოკატი. ადვოკატი იცავდა მხოლოდ ორი არასრულწლოვნის ინტერესებს, ხოლო მესამე არასრულწლოვანს ის არ უწევდა წარმომადგენლობას. ადვოკატი საქმეში არასრულწლოვანთა წარმომადგენლის სტატუსით მანამდე ჩაერთო, ვიდრე სასამართლო სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატის აცილების შუამდგომლობას დააკმაყოფილებდა. ადვოკატის განმარტებით, საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა საჩივრის ავტორმა და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა სახეზე იყო თუ არა ადვოკატის მხრიდან ინტერესთა შეუთავსებლობისა და მისი მხრიდან დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის შემთხვევები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1.; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.1).

წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა ადვოკატსა და სამოქალაქო საქმეზე საჩივრის ავტორის მეუღლის ადვოკატს შორის რაიმე სახის ურთიერთობის არსებობის დამადასტურებელ ინფორმაციას.

ამასთანავე სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის დასკვნა, ისევე როგორც დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ქ. თბილისის საქალაქო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიმართვა ცხადყოფს, რომ საქმეში ადვოკატის ჩართვას ითხოვდნენ საჩივრის

¹ <https://gba.ge/pdf/62133c9a8abfa.pdf/055-21,%20ar%20aghdzvra,%2008.10.21.pdf>

ავტორისა და მის მეუღლის ორი შვილი. შესაბამისად, ადვოკატი იცავდა მხოლოდ და მხოლოდ არასრულწლოვნების ინტერესებს და აღნიშნულ საქმეზე არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას რომელიმე მშობლის სასარგებლოდ, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს.

ეთიკის კომისია შეფასებისას დაეყრდნო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებას (2011 წლის 28 ივნისის განჩინება №28/183-11), რომლის თანახმადაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს, შესაბამისად სწორედ საჩივრის ავტორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა ადვოკატის მხრიდან შესაძლო დარღვევების წარმოდგენა ეთიკის კომისიაში.

ამასთან, საჩივრის ავტორსა და მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის დავაში მესამე პირებად ჩართული სამი არასრულწლოვნიდან ადვოკატის მხრიდან საადვოკატო ფუნქციების მხოლოდ ორი მათგანის მიმართ გაწევის ნაწილში, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისთვის და შემდგომში საადვოკატო მოქმედებების განხორციელებისთვის მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთშეთანხმებას, რაც გულისხმობს კლიენტის ინტერესების დაცვას მისი მითითებების გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებული წესით. შესაბამისად, ადვოკატი ვერ დაიცავს კლიენტის ინტერესებს თუ კლიენტისაგან არ აქვს ინფორმირებული თანხმობა მისი ინტერესების წარმოდგენის თაობაზე.

შესაბამისად, ადვოკატი საქმისწარმოების დროს ადვოკატად მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთო, როდესაც მიიღო არასრულწლოვნებისგან თანხმობა სურვილის გამოხატვის გზით, მათი ინტერესები სასამართლოში ადვოკატს დაეცვა. ხოლო რაც შეეხება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას, ეს პრინციპი ადგენს ადვოკატებს შორის ურთიერთობის სტანდარტებს, რომ მათ პატივი სცენ პროფესიულ ღირსებას და ერთმანეთს. ხოლო ვინაიდანაც, საჩივრის ავტორი არ წარმოადგენდა ადვოკატს, ის არ წარმოადგენდა მოცემული მოთხოვნის უფლებამოსილ განმცხადებელს, შესაბამისად ვერ იდავებდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევაზე.

დასკვნა

ვინაიდან სახეზე იყო ადვოკატსა და მის მარწმუნებლებთან, არასრულწლოვნებთან საადვოკატო მომსახურების გაწევაზე შეთანხმება, არ არის სახეზე ადვოკატის მხრიდან საადვოკატო მოქმედების დამოუკიდებლად განხორციელებისა და ინტერესთა შეუთავსებლობის პრინციპების (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.1) დარღვევა. ხოლო რადგანაც საჩივრის ავტორი არ წარმოადგენს ადვოკატს ის არ არის კოლეგიალობის პრინციპის დარღვევიდან შესაძლო მოთხოვნებზე უფლებამოსილი პირი - სათანადო მომჩივანი.